

# ქალაქები ევროპულ მწვანე შეთანხმებაში

შესაძლებლობები და კასუსისმგებლობები



# აკტორებისგან

ქალაქები, დაბები და მუნიციპალიტეტები ევროპული მწვანე შეთანხმების ძირითადი მოქმედი პირები არიან. ობიექტებია კლიმატ-ნეიტრალობის, ურბანული და რეგიონალური ცხოვრების გარდაქმნის, მათ შორის საცხოვრებელი პირობების, ენერჯის გამოყენების, საცხოვრებელი გარემოს, ტრანსპორტის, წარმოების და მოხმარების ხანგრძლივი ისტორიაში მათი მონაწილეობის გარეშე, მილიონობით ევროპელისთვის ეს შეთანხმება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა აუხდენელი ოცნება. ხელისუფლების ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანოებმა არა მხოლოდ ხელი შეუწყვეს, არამედ ჩამოაყალიბეს „მწვანე შეთანხმება“ და ახლა მისი განხორციელების ქვაკუთხედს წარმოადგენენ.

**ევროპული მწვანე შეთანხმება აღიარებს ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების შემდეგ ძირითად ფუნქციებს:**

- საკუთარი ტერიტორიების ეკოლოგიური და ეკონომიკური გარდაქმნის დაგეგმვის ორგანოები;
- წევრი ქვეყნების პარტნიორები პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- მოქალაქეებისთვის ინფორმაციისა და ლიტერატურის ძირითადი წყაროების ასევე, მითითებებისა და სანდო რჩევების მიწოდება;
- საკუთარი შენობებისა და სერვისების დეკარბონიზაციის პროცესის მთავარი მოქმედი პირები და მაგალითის მიმცემი..

ევროპული მწვანე შეთანხმება ასევე არის ადგილობრივი და რეგიონული საქმიანობის ცენტრში, რადგან ის წარმოადგენს შესაძლებლობას, ხელი შეუწყონ და დააჩქარონ საქმიანობა მდგრადობის, განვითარების და კეთილდღეობის გასაძლიერებლად. როგორც ევროპის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ქსელების წარმომადგენლები, მოვუწოდებთ ევროკავშირის კანონმდებლობის სათანადო ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში მომდევნო წლების განმავლობაში, და ასევე ყოვლისმომცველ ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მხრიდან, რათა უზრუნველყოთ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ შესაძლებლობების გამოყენება.

ევროპული მწვანე შეთანხმების განსახორციელებლად ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა კლიმატის ნეიტრალური, სტაბილური ევროპის შექმნის ერთადერთი გზაა. ეს ქმნის ადგილობრივ საინვესტიციო შესაძლებლობებს ევროპული ინდუსტრიისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ასევე საშუალებას გვაძლევს, ევროპაში ყველას გავეუნაწილოთ გარდაქმნით მიღებული სარგებელი პატიოსანი და სამართლიანი მომავლისთვის.




[www.energy-cities.eu](http://www.energy-cities.eu) / [www.eurocities.eu](http://www.eurocities.eu)

გამოქვეყნების თარიღი: 2024 წ. მარტი  
აკტორები: Eurocities and Energy Cities  
საკონტაქტო ინფორმაცია: melanie.bourgeois@energy-cities.eu  
eugenia.mansutti@eurocities.eu

დიზაინი და ილუსტრაციები: Onehemisphere AB, [contact@onehemisphere.se](mailto:contact@onehemisphere.se)  
ილუსტრაციები: Shutterstock

# შესავალი



ევროპული მწვანე შეთანხმების კანონმდებლობაში სულ უფრო მეტად არის აღიარებული ადგილობრივი ხელისუფლების არსებითი როლი. ამ პუბლიკაციის მიზანია ხაზი გაუსვას ადგილობრივი ხელისუფლების ახალ შესაძლებლობებსა და ვალდებულებებს მწვანე შეთანხმების ფარგლებში, და ასევე აამაღლოს ცნობიერება იმ ძირითადი როლის შესახებ, რომელიც მათ უნდა შეასრულონ.

ევროპული მწვანე შეთანხმება<sup>1</sup> არის ევროკომისიის ამბიციური გეგმა, რომელიც პარიზის შეთანხმების შესაბამისად მიზნად ისახავს 2050 წლისთვის ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალობას. ევროპული მწვანე შეთანხმების ქვაკუთხედი ა ევროკავშირის კანონი კლიმატის შესახებ<sup>2</sup>, რომელიც ადგენს შუალედურ მიზანს - 2030 წლისთვის, სათბურის გაზების ემისიების 55%-ით შემცირებას 1990 წელთან შედარებით. ეს ფართო ინიციატივა მოითხოვს მოქმედი კანონების გადახედვას და ახალი დირექტივების შემოღებას ისეთ სექტორებში, როგორცაა: ენერგეტიკა, კლიმატი, გარემოს დაცვა, მობილობა, ბუნებათსარგებლობა, შენობები, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ადგილობრივი ხელისუფლება, ასკუთარი უფლება-მოვალეობებისა გამო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ სექტორებში. მაგალითად, ენერგეტიკის სექტორში ქალაქებს მოუწოდებენ აამაღლონ ენერგოეფექტურობა და მოახდინონ განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრირება, როგორც ეს ხაზგასმულია ენერგოეფექტურობის შესახებ და განახლებადი ენერჯის შესახებ დირექტივებში. რაც მოიცავს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის ამარლების ვალდებულებებს ენერჯის მონხმარების შესამცირებლად და იმ ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც მოიხმარს, მათ შორის გათბობა-გაგრილებისთვის, განახლებად ენერჯიას.

ანალოგიურად, სოციალური კლიმატური ფონდი ქალაქებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას კლიმატური პოლიტიკის უარყოფითი სოციალური შედეგების შესამცირებლად, ენერგოეფექტურ საცხოვრებელსა და მდგრად სატრანსპორტო სისტემებში ინვესტირების შესაძლებლობას, რაც სარგებელს მოუტანს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს.

2024 წლის ივნისის ევროპულ არჩევნებამდე, მწვანე შეთანხმების კანონმდებლობის უმეტესი ნაწილის მიღებული იქნა, მათ შორის ენერგეტიკის სექტორის კანონმდებლობა. თუმცა, გარკვეულ სფეროებში, როგორცაა მობილობა და ჰაერის ხარისხი, გარკვეული შეფერხება წარმოიქმნა. წევრ ქვეყნებს აქვთ ორი წელი, რათა ასახონ დირექტივის მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში და დაიწყოთ მათი განხორციელება. თუმცა, რადგან ევროპული საკანონმდებლო აქტების ტექსტები ყოველთვის უტოვებს მანევრირების გარკვეულ სივრცეს წევრ ქვეყნებს, მნიშვნელოვანი იქნება იმის მონიტორინგი, თუ როგორ ხდება მწვანე შეთანხმების რეალიზება თითოეულ წევრ ქვეყანაში.

## შინაარსი



ენერგეტიკა  
4



სოციალური  
სფერო 8



კლიმატი  
8



გარემოს  
დაცვა 9



ჰაერის  
ხარისხი  
10



წყალი  
11



ცირკულარული  
ეკონომიკა  
12



მობილობა  
13



# ენერგეტიკა

## დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ

**განახლებული დირექტივა მიზნად ისახავს გაზარდოს ევროკავშირის ამიხცია ენერგოეფექტურობის სფეროში, ევროკავშირის ახალი მთავარი მიზნების - 2030 წლისთვის ამიხცია 55%-ით შემცირების შესაბამისად. იგი აღმენს პრინციპს - „ენერგოეფექტურობა უპირველეს ყოვლისა“, როგორც ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპს.**

ეს დირექტივა ძალაში შევიდა 2023 წლის 10 ოქტომბერს და 2025 წლის ბოლოს უნდა იქნას გადატანილი ეროვნულ კანონმდებლობაში.

განახლებული დირექტივა შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)

Energy Cities გთავაზობთ **ევროკავშირის ტრეკერს** გათბობისა და გაგრილების ადგილობრივი გეგმების მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში. ნახეთ, რომელ ადგილზეა თქვენი ქვეყანა და აიღეთ მაგალითი სხვა ქვეყნებისგან გათბობისა და გაგრილების ახალი ვალდებულების გადმოტანაში.

დირექტივა აწესებს საჯარო სექტორის ვალდებულებას, მიაღწიოს ენერჯის წლიური მოხმარების 1.9%-ით შემცირებას (მუხლი 5).

საჯარო უწყებებს აქვთ ვალდებულება, ყოველწლიურად გააუმჯობესონ მათ საკუთრებაში არსებული 250 მ<sup>2</sup>-ზე მეტი სასარგებლო ფართობის მქონე შენობების მთლიანი ფართის მინიმუმ 3%, (ადგილობრივი ხელისუფლების შენობების ჩათვლით), რათა აქციონ ისინი თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობებად (მუხლი 6).

რაც შეეხება შენობებს, რომლებიც არ ეკუთვნიან საჯარო უწყებებს, მათ უნდა შეათანხმონ მფლობელთან საკითხები ენერგეტიკულ გაუმჯობესებაზე, მაგალითად,

ტრიგერული მომენტები, როგორცაა იჯარის ვადის გაგრძელება.

სოციალური საცხოვრისები შეიძლება გათავისუფლდეს ამ ვალდებულებისგან, თუ ასეთი განახლება არ არის ხარჯ-ნეიტრალური ან გამოიწვევს ქირის ისეთ გაზრდას, რაც არ იქნება დაბალანსებული ენერგო გადასახადების დაბოგვით.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მუნიციპალიტეტებმა 45000-ზე მეტი მოსახლეობით, მოამზადონ გათბობისა და გაგრილების ადგილობრივი გეგმები. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მათი მუნიციპალიტეტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა (მუხლი 25.6).

## დირექტივა განახლებადი ენერჯის შესახებ



**დირექტივა მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის წილის ზრდას ევროპის ენერგეტიკულ ბალანსში. იგი მოიცავს ახალ სამიზნე მაჩვენებლებს 45%-ს, მინიმალური სავალდებულო მიზნით 42.5% (აღრიცხული 40% ის ნაცვლად) 2030 წლისთვის. განახლებული დირექტივა ასევე განსაზღვრავს ძველი მიზნების კონკრეტული სექტორებისთვის. მაგალითად, 2030 წლისთვის შენობებში განახლებადი ენერჯის წილი უნდა იყოს არანაკლებ 49%-ისა.**

ეს დირექტივა ძალაში შევიდა 2023 წლის 20 ნოემბერს და უნდა იქნას გადატანილი ეროვნულ კანონმდებლობაში 2025 წლის 20 ნოემბრისთვის.

განახლებული დირექტივა შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა SCCALE 203050 შეიმუშავა **მუნიციპალური სახელმძღვანელო ენერგეტიკული ემებისთვის.**

ევროკომისია ასევე მოამზადებს განახლებადი ენერჯის დანერგვის დაჩქარების მიმართულების სახელმძღვანელოს.

ქალაქებმა და რეგიონებმა უნდა ჩართონ განახლებადი ენერჯის წყაროები თავიანთ გეგმებში. მათ რეკომენდაცია ეძლევათ, განავითარონ განახლებად ენერჯიზე მომუშავე გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურა, გაიარონ კონსულტაცია ქსელის ოპერატორებთან და გახდნენ ენერგეტიკული თემების და თვითმომხმარებლის ინიციატივების მონაწილეები (მუხლი 15).

რადგან საჯარო სექტორი უნდა იყოს მაგალითის მიმცემი, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უზრუნველყონ მესამე მხარეებისთვის წვდომა საჯარო და შერეული საჯარო-კერძო შენობების სახურავების გამოსაყენებლად, მათ შორის ადგილობრივი და რეგიონული

შენობების, განახლებადი ენერჯის წარმოებისთვის.

უფრო მეტიც, წევრმა ქვეყნებმა უნდა შეადგინონ განახლებადი ენერჯის განთავსების რუკა 2026 წლის 21 თებერვლამდე და განსაზღვრონ „განახლებადი ენერჯის განვითარების დაჩქარების მიმართულებები“ ადგილობრივი და რეგიონული დონეზე კოორდინაციით (მუხლი 15b).

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024 წლის 21 თებერვლიდან განახლებადი ენერჯის სადგურების ყველა დაგეგმვა, მშენებლობა და ექსპლუატაცია და ასეთი სადგურების ქსელთან მიერთება მიჩნეულია „უმაღლეს საზოგადოებრივი ინტერესად“ (მუხლი 16).

# შენობების ენერგოეფექტურობის დირექტივა



ენერგეტიკა

**შენობებზე მოდის ევროკავშირში სატბურის გაზაბის ემისიების მასშაბზე მითი. ეს დირექტივა მიზნად ისახავს შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას და შენობების საქტორში სატბურის გაზაბის ემისიების 60%-ით შემცირებას 2030 წლისთვის, რათა მიღწეულ იქნას შენობების ფონდის ნულოვანი ემისიის მიზანი 2050 წლისთვის. დირექტივის გადახედვის მიზანი იყო შენობების განახლების მაჩვენებლის გაზრდა, საქტორში მიზნობრივი ინვესტიციების ხელშეწყობა და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ღონისძიებების გატარება.**

პარლამენტსა და საბჭოს შორის შეთანხმება მიღწეულია 2023 წლის 7 დეკემბერს. არაფორმალური შეთანხმება უნდა დაამტკიცოს ორივე ინსტიტუტმა 2024 წლის მარტში და გადაიტანოს ეროვნულ კანონმდებლობაში მისი ოფიციალური მიღებიდან ორი წლის შემდეგ.

განახლებული დირექტივა შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)

წინასწარი შეთანხმება შეგიძლიათ ნახოთ ამ ბმულზე.

ევროკომისია მოგაწვდით მითითებებს „ერთი ფანჯრის“ ცენტრების შექმნის შესახებ.

Energy Cities-ის ვებსაიტზე შეგიძლიათ ნახოთ **სახელმძღვანელო** თქვენს ქალაქში “ერთი ფანჯრის” პროცესის განსახორციელებლად, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „Innovate“ მიერ.

დოკუმენტი **ქალაქების სოციალური ტენდენციების შესახებ**

ხელმისაწვდომია Eurocities-ის ვებსაიტზე.

Eurocities-მა შეიმუშავა **ანგარიში საცხოვრისისა და უსახლკარობის საკითხებზე.**

Eurocities-მა შეიმუშავა რეკომენდაციები **“უკეთესი შენობები კლიმატ-ნეიტრალური ქალაქებისთვის”**.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შენობების განახლების ეროვნული გეგმები, რათა შეამცირონ საცხოვრებელ შენობებში ენერჯის მოხმარება 16%-ით 2030 წლისთვის და 20-22%-ით 2035 წლისთვის, რომლის 55% მიიღწევა ყველაზე ცუდი მაჩვენებლების მქონე შენობების განახლებით. გეგმები ასევე უნდა შეიცავდეს ტრანსპორტის არასაცხოვრებელი შენობებისთვის, რომელიც ითვალისწინებს, მაგრამ არ ანიჭებს აუცილებელ პრიორიტეტს ყველაზე ცუდი მაჩვენებლების მქონე შენობებს. ეს გეგმები უნდა შემუშავდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციით და უნდა შეიცავდეს მიზნებს 2030, 2040 და 2050 წლებისთვის. მათ უნდა ახლდეს გეგმა დაფინანსებისა და კვალიფიკაციის მუშახელზე ხელმისაწვდომობის ბარიერების აღმოსაფხვრელად (მუხლი 3).

წევრ სახელმწიფოებმა ექნებათ შესაძლებლობა, ამ ვალდებულებებისგან გაათავისუფლონ გარკვეული კატეგორიის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, მათ შორის ისტორიული შენობები ან დასასვენებელი სახლები.

**2028 წლიდან ყველა ახალი საზოგადოებრივი შენობა და 2030 წლიდან ყველა ახალი შენობა უნდა იყოს ნულოვანი ენერჯის შენობა** (რაც ითვალისწინებს წიაღისეული საწვავის ადგილზე მოხმარების შეზღუდვას) (მუხლი 7).

2025 წლის 1 იანვრიდან აიკრძალება იქნება წიაღისეული საწვავზე მომუშავე ავტონომიური ქვაბების მონტაჟის სუბსიდირება და წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დასახონ ღონისძიებები გათბობა-გაგრილების სისტემებში წიაღისეული საწვავის გამოყენებაზე ეტაპობრივი უარისთვის, **2040 წლისთვის წიაღისეული საწვავზე მომუშავე ქვაბებზე სრული ეტაპობრივი უარის მიზნით.**

ასევე, 2030 წლიდან წევრმა ქვეყნებმა ყველა ახალი შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიკატში უნდა შეიტანონ **გლობალური დატობის სავარაუდო პოტენციალი (GWP) საექსპლუატაციო პერიოდისთვის. იგი გამოითვლება სამშენებლო პროდუქციაში შემავალი სატბურის გაზების პირდაპირი და**

არაპირდაპირი ემისიების კომბინაციით გამოყენების ეტაპიდან და გამოისახება კგCO<sub>2</sub>ექ/მ<sup>2</sup>-ში (მუხლი 7 და დანართი III).

ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება არის ის, რომ (სადაც ეს შესაძლებელია) **საზოგადოებრივი შენობების სახურავები ალტურვილი უნდა იყოს მზის პანელებით**, არსებულ შენობებში 2000 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობით 2028 წლიდან, 750 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობით 2029 წლამდე, და 250 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობით 2031 წლამდე. უფრო მეტიც, 2028 წლიდან ეს საჭირო იქნება არსებული არასაცხოვრებელი შენობებისთვის, რომელთა ნებისმიერი რემონტიც საჭიროებს ნებართვას (მუხლი 9).

მე-12 მუხლში შემოღებულ იქნა **ახალი წესები შენობების ინფრასტრუქტურის შესახებ მდგრადი მობილობისთვის:**

2028 წლისთვის ყველა არასაცხოვრებელ შენობას, რომელსაც აქვს ოცნე მეტი საპარკინგე ადგილი, უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი ელექტრომობილის დამუხტვის წერტილი ყოველ ათ საპარკინგე ადგილზე.

საჯარო დაწესებულებების მფლობელობაში მყოფ ან მათ მიერ დაკავებულ შენობებში 2033 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეწყოს წინასწარი საკაბელო სისტემა მინიმუმ ყოველ მეორე საპარკინგე ადგილისთვის.

ველოსიპედების საპარკინგე ადგილები უნდა შეადგინდეს შენობის მომხმარებელთა რაოდენობის მინიმუმ 15%-ს. აქ შედის ადგილები უფრო დიდი ზომების მქონე ველოსიპედებისთვისაც (მაგ. სატვირთო ველოსიპედებისთვის).

ეს დირექტივა ასევე მოითხოვს, რომ ამოქმედდეს ყოველ 80,000 მოსახლეზე თითო ან რეგიონში მინიმუმ ერთი **“ერთი ფანჯრის” პრიციპით მოქმედი შენობების ენერგოეფექტურობის ცენტრები**, რომლებიც ორიენტირებული იქნება შენობების განახლებაში ჩართულ ყველა მონაწილეზე, (მუხლი 15).

დირექტივის თანახმად, **წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ტრენინგებს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.** ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობებისთვის, რათა განახორციელონ ევროკავშირის მიერ დადგენილი ყველა ახალი ღონისძიება.

# ელექტროენერჯის ბაზრის მოწყობის დირექტივა



ენერჯეტიკა

**ევროკავშირი მიზნად ისახავს განახლებად ენერჯიაზე დაფუძნებული ენერჯის ბაზრის შექმნას ენერჯიაზე დაბალი ფასებით და მომხმარებელთა (მათ შორის საჯარო ხელისუფლების) განუყოფელი დასვით, ფასების მათი სტაბილურობით.**

2023 წლის დეკემბერში გამართულ უწყებათაშორისი მოლაპარაკებების (ტრილოგის) დროს შეთანხმებული ტექსტი, სავარაუდოდ, მიღებული იქნება პლენარულ კენჭისყრაზე ევროპარლამენტში 2024 წლის მარტში.

მისი გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში მოხდება მისი ოფიციალური მიღებიდან ორი წლის შემდეგ.

განახლებული დირექტივა ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

წინასწარი შეთანხმება შეგიძლიათ ნახოთ ამ ბმულზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, ნახეთ ბმული [briefing Energy Cities-ს ვებსაიტზე](#).

**დირექტივა განსაზღვრავს შესაძლებლობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის, მოახდინონ ინვესტირება საზიარო სისტემებში** სხვა მომხმარებლებთან, როგორცაა ოჯახები ან მცირე და საშუალო ზომის საწარმოები შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში. უნდა დაინიშნოს ენერჯის გაზიარების ორგანიზატორი; ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი საჯარო ხელისუფლება (მუხლი 15). წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საჯარო ხელისუფლების საკუთრებაში არსებულმა საზიარო ენერჯის პროექტებმა გახადონ ელექტროენერჯია ხელმისაწვდომი მოწყვლადი ან ენერჯიით ნაკლებად უზრუნველყოფილი მომხმარებლებისთვის ან მოქალაქეებისთვის (გაზიარებული ენერჯის მინიმუმ 10% საშუალოდ).

იგი ასევე ითვალისწინებს გადაცემის სისტემის ევროპული ოპერატორების (TSO) ვალდებულებას (მუხლი 50(4a), წარმოადგინონ მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია ახალი მიერთებებისთვის ხელმისაწვდომი სიმძლავრის შესახებ და მიაწოდონ მომხმარებლებს ინფორმაცია მათი მოთხოვნის სტატუსის შესახებ. უფრო მეტიც, გადაცემის სისტემის/ განაწილების სისტემის ოპერატორებმა

უნდა ითანამშრომლონ ახალი მიერთებებისთვის ხელმისაწვდომი სიმძლავრის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად (მუხლი 53(3)). ეს იქნება პასუხი მუნიციპალიტეტების მხრიდან მუხი გამჭვირვალობის აუცილებლობის მოთხოვნაზე სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების (DSO) მიმართ.

დირექტივა აწესებს ორი სახის კონტრაქტს: ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPA - მუხლი 2(77) და მუხლი 19a) და კონტრაქტები განსხვავებების შესახებ (CfD - მუხლი 2(76) და მუხლი 19b), განახლებადი ენერჯის წყაროების ახალი დანადგარების მხარდასაჭერად. ასეთი კონტრაქტები წაახალისებს ფორვარდულ ბაზრებს და განახლებადი ენერჯიების განვითარებას, უზრუნველყოფს ინვესტორების უსაფრთხოებას, მაგრამ ზღუდავს მოგებას საბოლოო მომხმარებლებზე მათი გადანაწილების გამო. დირექტივა ითვალისწინებს სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლებლობას ახალი ბირთვული ობიექტებისთვის CfD-ების და ქვანახშირის უკვე არსებული ელექტროსადგურების მეშვეობით, როგორც „სიმძლავრის უკვე დამტკიცებული მექანიზმების“ ნაწილის, და თუ ეს არის „სათანადოდ დასაბუთებული“.

# გაზის პაკეტი (დირექტივა და რეგულაცია)



ენერჯეტიკა

**ამ დირექტივისა და რეგულაციის მთავარი მიზანია უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს გადასვლას, წყალბადის ბაზრისა და გაზის ეფექტური ბაზრის გაძლიერებით, სათბურის გაზების ჩათვლით. ის ასევე იძლევა გარკვეულ სამართლებრივ საფუძვალს გაზის ბაზრის დაპარამეტრებისთვის. პაკეტი ადგილობრივი დონე ძირითადად მოხსანიებულია დირექტივაში.**

კენჭისყრა  
ევროპარლამენტში  
პაკეტის საბოლოო  
ვერსიის მიღებაზე  
2024 წლის  
აპრილში იგეგმება.  
მიღების შემდეგ,  
შესწორებული პაკეტი  
ხელმისაწვდომი  
იქნება ვებგვერდზე:  
[www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

**დირექტივის და  
რეგულაციის**  
წინასწარი  
შეთანხმების ნახვა  
უკვე შესაძლებელია.  
  
ეს დირექტივა ძალაში  
შედის ევროკავშირის  
ოფიციალურ  
ჟურნალში  
გამოქვეყნებიდან  
მეოცე დღეს (მუხლი 89).

გაზის გადამცემი სისტემის  
ოპერატორებს და წყალბადის  
გადამცემი ქსელების ოპერატორებს  
აქვთ ვალდებულება, რეგულარულად  
წარადგინონ **ქსელის განვითარების  
ათწლიანი გეგმა**. ამ პროცესში  
საჭიროა გაზის, წყალბადის,  
ელექტროენერჯის და სითბოს  
გამანაწილებელი სისტემების  
შესაბამის ოპერატორებთან  
კონსულტირება, მათ შორის მათთან,  
რომლებიც არიან ადგილობრივი  
ხელისუფლების მფლობელობაში და  
მართვაში (მუხლი 51).

წყალბადის გამანაწილებელი  
ქსელის ოპერატორებმა და  
გაზგამანაწილებელი ქსელის  
ოპერატორებმა, წყალბადის  
გამანაწილებელი ქსელის  
განვითარების გეგმის (მუხლი  
52) და ბუნებრივი გაზის ქსელის  
ექსპლუატაციიდან გამოყვანის  
გეგმების შემუშავებისას (მუხლი 52b),  
უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი  
ხელისუფლების მიერ შემუშავებული  
გათბობისა და გაგრილების გეგმები,  
ენერგოეფექტურობის დირექტივის  
25.6 მუხლის შესაბამისად.

ამ გეგმების შემუშავებისთვის ასევე  
საჭიროა კონსულტაციის გავლა  
განაწილების სხვა ოპერატორებთან,  
მათ შორის ელექტროენერჯის და  
თბომომარაგების.

წყალბადის გამანაწილებელი  
ქსელის განვითარების გეგმები  
უნდა მოიცავდეს ძნელად  
დეკარბონიზებადი საბოლოო  
მომხმარებლების არსებული  
და პოტენციური სამომავლო  
საჭიროებების შეფასებას, ასევე  
ბუნებრივი აირის მილსადენების  
გადაპროფილირების ვარიანტების  
შეფასებას. ამ გეგმების წარდგენა  
უნდა მოხდეს ყოველ ოთხ წელიწადში  
ერთხელ.

ბუნებრივი გაზის ქსელების  
ექსპლუატაციიდან გამოყვანის გეგმები  
უნდა შემუშავდეს ბუნებრივი გაზის  
გამანაწილებელი ოპერატორების  
მიერ (მუნიციპალურ მფლობელობაში  
მყოფი ოპერატორების ჩათვლით),  
როდესაც მოსალოდნელია გაზზე  
მოთხოვნის შემცირება. მათ უნდა  
დაადგინონ ინფრასტრუქტურის  
საჭირო ადაპტაცია და  
განსაზღვრონ მოთხოვნის  
მხარის იმ გადაწყვეტილებების  
პრიორიტეტულობა, რომლებიც არ  
საჭიროებენ ახალ ინვესტიციებს  
ინფრასტრუქტურაში. ეს გეგმები  
უნდა განახლდეს მინიმუმ ოთხ  
წელიწადში ერთხელ და მოიცავდეს  
ათწლიან პერიოდს. სადისტრიბუციო  
სისტემის ოპერატორები, რომლებიც  
ემსახურებიან 45,000-ზე ნაკლებ  
მიერთებულ მომხმარებელს,  
შეიძლება გათავისუფლდნენ  
ექსპლუატაციიდან გამოყვანის  
ასეთი გეგმების შემუშავების  
ვალდებულებისგან (მუხლი 52b).



# სოციალური სფერო

ეს რეგულაცია 2023 წლის მაისში კენჭისყრისთანავე პირდაპირ შევიდა ძალაში, მაგრამ იქნება გამოყენებული 2024 წლის 30 ივნისიდან.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ თავიანთი სოციალური კლიმატის გეგმები 2025 წლის ივნისამდე.

**რეგულაციის** ნახვა შესაძლებელია ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

# სოციალური კლიმატური ფონდი



სოციალური სფერო

**ეს რეგულაცია აარსებს სოციალურ კლიმატურ ფონდს („ფონდი“) 2026 წლიდან 2032 წლამდე. ფონდმა ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ნაწილი ქვეყნების (წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ასიგნებებით) ღონისძიებებსა და ინვესტიციებს, რომლებიც შედის მათ სოციალურ კლიმატურ გეგმებში („გეგმები“).**

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სოციალური კლიმატური გეგმა და წარუდგინოს იგი ევროკავშირის კომისიას 2025 წლის ივნისამდე. როგორც აღდგენისა და მდგრადობის გეგმების შემთხვევაში, ისინი შეფასდება და განიხილება წევრ ქვეყნებთან იტერაქციული პროცესის ფარგლებში.

ეს გეგმები უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს და ინვესტიციებს, რომლებიც მიზნად ისახავს შენობებისა და საგზაო ტრანსპორტისთვის შემოთავაზებული ემისიებით ვაჭრობის ახალი სისტემის გავლენის შემსუბუქებას და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებას სოციალურად დაუცველ ოჯახებში, ტრანსპორტის მომხმარებლებსა და მიკრო საწარმოებში. დასაშვებია ღონისძიებები და ინვესტიციები მოიცავს დაუცველი ოჯახების შემოსავლების პირდაპირ მხარდაჭერას, შენობების განახლებას და ენერგოეფექტურ საცხოვრისს, ხელმისაწვდომ ენერგოეფექტურ სისტემებს, მათ შორის გათბობისა და გაგრილების

ელექტრიფიკაციას, განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ენერჯის ინტეგრაციას, აქტიური მოხმარების სტიმულირებას (ენერგეტიკული თემების, ენერჯის განხარების მეშვეობით და ა.შ.), მობილობა და ტრანსპორტი ნულოვანი და დაბალი ემისიით, ასევე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები ენერგოეფექტურობის ამაღლების ხარჯ-ეფექტური ღონისძიებების შესახებ.

რეგულაციის მე-5 მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, გამართონ საჯარო კონსულტაციები ადგილობრივ ხელისუფლებასთან (რადგან ისინი დაინტერესებული მხარეებიდან ერთ-ერთია). სოციალური კლიმატური გეგმა უნდა შეიცავდეს შეჯამებას, თუ როგორ აისახება გეგმაში დაინტერესებული მხარეების გამოხმაურება.

ეს ფონდი ფინანსდება ETS-ის მიერ და შეუძლია შესაძლებლობა მისცეს ქალაქებს, განახორციელონ საკუთარი ინვესტიციები სამართლიანი და თანაბარ უფლებიანი გადასვლისთვის.



# კლიმატი

კლიმატის პაქტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: [https://climate-pact.europa.eu/index\\_en](https://climate-pact.europa.eu/index_en)

# კლიმატის ევროპული პაქტი



კლიმატი

**კლიმატის ევროპული პაქტი არის სახალხო მოძრაობა, რომელიც გაერთიანებულია კლიმატ-ნეიტრალობაზე გადასასვლის მიზნით. ის ღიაა ყველა ინდივიდისთვის, ისევე როგორც ორგანიზაციებისთვის, რომორიცაა ასოციაციები ან ქალაქები.**

ქალაქებს შეუძლიათ ჩაერთონ კლიმატის ევროპულ პაქტში, მიუთუნენ წევრებად, სხვა პარტნიორებთან ერთად, როგორცაა დაინტერესებული მოქალაქეები ან ორგანიზაციები მთელ ევროპაში. კლიმატის პაქტი გთავაზობთ რესურსებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლისა და

ინფორმაციის გაცვლის, კოლექტიური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და დანერგვისთვის და ადგილობრივი მაგალითებიდან შთაგონების მისაღებად.

პოლიტიკოსები და ადგილობრივი ლიდერები, როგორცაა მერები, შეიძლება გახდნენ კლიმატის პაქტის ელჩები.





ბარემო

# ევროკავშირის ბუნების აღდგენის კანონი



ბარემო

**კანონს აქვს ყოვლისმომცველი მიზანი ევროკავშირის სახელმწიფო და საზღვაო ტერიტორიებზე ბუნების გრძელვადიანი აღდგენისთვის, კონკრეტული ჰაბიტატებისა და სახეობების აღდგენის სავალდებულო მიზნებით. ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ევროკავშირის სახელმწიფო და საზღვაო ტერიტორიების მინიმუმ 20%-ს 2030 წლისთვის და, საბოლოო ჯამში, ყველა ეკოსისტემას, რომელიც საჭიროებს აღდგენას 2050 წლისთვის. ეს იქნება ამ სახის პირველი კანონი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ბუნების აღდგენაზე იქნება ორიენტირებული.**

კანონი მიღებულ იქნა 2024 წლის 27 თებერვალს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრით. იგი შემდგომ გადაეცემა საბჭოს ოფიციალური მიღებისთვის (თარიღი ჯერ დადგენილი არ არის).

კანონის ნახვა შესაძლებელი იქნება ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

წინასწარი შეთანხმების ნახვა უკვე შეიძლება **ამ ბმულზე**.

Eurocities-ის **რეაქცია** ბუნების აღდგენის წინადადებაზე ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე.

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ 2030 წლისთვის არ იყოს ურბანული მწვანე სივრცისა და ხეების ურბანული საფარის მთლიან ეროვნულ ფართობზე წმინდა დანაკარგი (შესაძლოა ურბანული ეკოსისტემის ტერიტორიების გამოკლებით, რომლებშიც ურბანული მწვანე სივრცის წილი ურბანულ ცენტრებში და ურბანულ კლასტერებში აღემატება 45%-ს და მასში ხეების ურბანული საფარის წილი 10%-ს აღემატება. 2030 წლის შემდეგ მათ უნდა უზრუნველყონ როგორც ურბანული მწვანე სივრცის, ისე ხეების საფარის ზრდა (მუხლი 6).

წევრმა ქვეყნებმა დაისახეს მიზანი, 2030 წლისთვის კავშირის ფარგლებში ალაღვიონ მდინარეების თავისუფალი დინება მინიმუმ 25 000 კმ-ზე. ამის მისაღწევად, ისინი ვალდებული არიან შექმნან ზედაპირული წყლების შეერთებებზე არსებული ხელოვნური ბარიერების ინვენტარიზაცია და გამოავლინონ ის ბარიერები, რომლებიც უნდა მოიხსნას (მუხლი 7).

დროებითი შეთანხმება მიზნად ისახავს, შეაჩეროს დამამტვერიანებლების პოპულაციის შემცირება არაუგვიანეს 2030 წლისთვის და შემდგომში მიაღწიოს დამამტვერიანებლების პოპულაციის ზრდას (მუხლი 8).

**მუხლი 10 (a) 3 მილიარდი დამატებითი ხის დარგვის შესახებ:** მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების განხორციელებისას, წევრი სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, თავიანთი წვლილი შეიტანონ 2030 წლისთვის ევროპის მასშტაბით მინიმუმ სამი მილიარდი ხის დარგვის ვალდებულების შესრულებაში.

**მე-11 მუხლში აღდგენის ეროვნული გეგმების შესახებ** ნათქვამია, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ და რუკაზე დაიტანონ ურბანული ეკოსისტემის ტერიტორიები, როგორც ეს მითითებულია მე-6 მუხლში, მათი ყველა ქალაქისთვის და გარეუბნისთვის. მათ შეუძლიათ ორი ან მეტი მიმდებარე ქალაქისა და/ან დაბისა და გარეუბნის ურბანული ეკოსისტემის არეების გაერთიანება ერთ ურბანულ ეკოსისტემაში, რომელიც საერთოა ამ ქალაქებისა და/ან დაბებისა და გარეუბნებისთვის. 11.3 მუხლის თანახმად, წევრმა ქვეყნებმა უნდა დაადგინონ მე-6 მუხლით გათვალისწინებული მწვანე საფარისა და ხის ნარგავების დამაკმაყოფილებელი დონე არაუგვიანეს 2030 წლისთვის.

# ევროკავშირის ნიადაგის მონიტორინგისა და მდგრადობის დირექტივა



ახალი დირექტივის მიზანია ნიადაგების დაცვა და აღდგენა და მათი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა. ის მიზნად ისახავს ევროკავშირში ნიადაგის ძირითადი საფრთხეების მოხსნას, რომორიცაა ეროზია, წყალდიდობა და მენყარი, ნიადაგის ორგანული ნივთიერებების დაკარგვა, დამლაშება, დაბინძურება, დატოვება, ამრთვე ნიადაგის ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. ის ქმნის მონიტორინგის საფუძველს და სთხოვს წავრ სახელმწიფოებს, გამოავლინონ და გამოასწორონ კოტინგენტური დაბინძურებული ადგილები.


ეს დირექტივა არ ამოქმედდება მოქმედი მანდატის ვადის დასრულებამდე.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური ორგანოები, პასუხისმგებელი შესაბამის დონეზე ამ დირექტივაში ასახული ღონისძიებების განხორციელებაზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ ერთი კომპეტენტური ორგანო ნიადაგის თითოეული რაიონისთვის, რომელიც შექმნილია მე-4 მუხლის შესაბამისად (კომისიის წინადადება მე-4 და მე-5 მუხლებისთვის).

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან მონიტორინგის სტრუქტურა და მონიტორინგი გაუწიონ ნიადაგის მდგომარეობას და


მიწის ფენის მოხსნას ნიადაგის თითოეული რაიონისთვის, ნიადაგის ჯანმრთელობის კონკრეტული ინდიკატორების და მიწის ფენის მოხსნის და ნიადაგის კონსერვაციის ინდიკატორების ჩათვლით (კომისიის წინადადება მე-6 მუხლისთვის).

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ ნიადაგის მდგომარეობა თავიანთი ნიადაგის ყველა რაიონში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და შეაფასონ მიწის ფენის მოხსნის და ნიადაგის კონსერვაციის გავლენა ეკოსისტემური სერვისების დაკარგვაზე (კომისიის წინადადება მე-9 მუხლისთვის).



ჰაერის ხარისხი

## ევროკავშირის დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ



ჰაერის ხარისხი

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ახალი დირექტივა ამჟამად გადახედვის პროცესშია, რათა განახლდეს ევროკავშირის მიზნები ჰაერის ხარისხის სფეროში, ადამიანის ჯანმრთელობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის უსაფრთხო დონეების შესახებ უახლესი მცენიარული ცოდნის, განსაკუთრებით ჰანო-ს უახლესი რეკომენდაციების შესაბამისად. გადასინჯვა მოიცავს ახალ დამაბინძურებას, რომელიც უნდა დარაგულირდეს, ჰაერის ხარისხის უფრო მათად სავალდაბულო მიზნებს, მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მართლმსაჯულების შემდგომ ხელმისაწვდომობას, ასევე მონიტორინგისა და მოდელირების განახლებულ მოთხოვნებს ქალაქებში ჰაერის დაბინძურების უკეთესი მონიტორინგისთვის.

ტრილოგის მოლაპარაკებები გრძელდება. როდესაც შეთანხმება მიღწეულ იქნება, ეროვნულ დონეზე ტრანსპონირებას შეიძლება ველოდეთ 2026 წლისთვის.

**Eurocities-ის რეკომენდაციები**  
ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განახლებული დირექტივის შესახებ წინადადებაზე შეგიძლიათ ნახოთ მის ვებსაიტზე.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც ამოღებულია კომისიის წინადადებიდან:

ევროკავშირის ახალი მიზნები ჰაერის ხარისხისთვის გულისხმობს ქალაქებსა და რეგიონებში ჰაერის ხარისხის გეგმების აუცილებელ განახლებებს, რათა შეესაბამებოდეს ახალი მიზნების სპეციფიკაციებს (მუხლი 13, დანართი I).

ასევე შემოთავაზებულია ახალი

ღონისძიებები ქალაქებში ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად, რათა შემცირდეს ქალაქებში ჰაერის დაბინძურების გარკვეული წყაროების ბემოქმედება (მუხლი 19 და დანართი VIII B.2 a-f).

მოქალაქეებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე ექნებათ მეტი სამართლებრივი საფუძველი ჰაერის ხარისხის გეგმების გასაჩივრებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი სასამართლო დავა ამ სფეროში (თავი VII).



წყალი

# ჩამდინარე წყლების განმედის უზრუნველყოფის დირექტივა



წყალი

**ევროკავშირის ჩამდინარე წყლების განმედის ამჟამად მოქმედი დირექტივა, ძალაშია 30 წელზე მეტია. 1991 წელს მისი მიღების შემდეგ, ევროპის მდინარეების, ტბებისა და ზღვების ხარისხი გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, არსებული დაბინძურება ჯერ კიდევ საჭიროებს გადაწყვეტას და მასზე არ ვრცელდება მოქმედი რეგულაციები. ამ პრობლემის გადასაჭრელად კომისიამ შესთავაზა დირექტივის განახლება.**

2024 წლის 29 იანვარს საბჭომ და ევროპარლამენტის მომლაპარაკებლებმა მიადრეეს წინასწარ პოლიტიკურ შეთანხმებას ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დირექტივის გადახედვის წინადადებაზე.

**ეს შეთანხმება ჯერ კიდევ დასამტკიცებელია ორივე თანაკანონმდებლის მიერ.**

დადგენილია, რომ დირექტივა ძალაში შევა ოფიციალურ ურნალში გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ.

Eurocities-ის განცხადების ნახვა შესაძლებელია მის ვებსაიტზე.

დირექტივა ითვალისწინებს, რომ ჩამდინარე წყლების გაწმენდის სექტორს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს სათბურის გაზების ემისიების მნიშვნელოვნად შემცირებაში და დაეხმაროს ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალობის მიზნის მიღწევაში. მან შემოიღო ენერგეტიკული ნეიტრალობის მიზანი, რაც იმას ნიშნავს, რომ 2045 წლისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებს მოეთხოვებათ აწარმოონ ენერჯია განახლებადი წყაროებიდან (ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის ნაგებობების ენერგეტიკული ნეიტრალობის შესახებ ახალი წინადადების მე-11 მუხლი).

მან ასევე გაავრცელა გარემოში ჩადინებამდე ურბანული ჩამდინარე წყლების მეორადი დამუშავების (ანუ ბიოდეგრადირებადი ორგანული ნივთიერების მოცილება) ვალდებულება 1000 ან მეტი მოსახლეობის მქონე აგლომერაციაზე 2035 წლისთვის (კომისიის წინადადება მე-6 მუხლისთვის).

თანაკანონმდებლებმა ასევე შეთანხმეს **მესამეული დამუშავების** (ანუ აზოტისა და ფოსფორის მოცილება) ზღვრები და ვადები **2039 წლისთვის და მეოთხეული დამუშავება** (მიკროდამბინძურებლების ფართო სპექტრის მოცილება) **2045 წლისთვის** უფრო დიდ საწარმოებში 150,000 და მეტი პერსონალით.

მესამეული და მეოთხეული დამუშავების ვალდებულებები 2045 წლისთვის ასევე გავრცელდება უფრო მცირე აგლომერაციებზე, 10,000 და მეტი მოსახლეობით იმ რაიონებში, რომლებიც აკმაყოფილებენ რისკზე დაფუძნებულ გარკვეულ კრიტერიუმებს (კომისიის (ახალი) წინადადების მე-7 და მე-8 მუხლები).

მეოთხეული დამუშავებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების დასაფარად და პრინციპის - „დამაბინძურებელი იხდის“ შესაბამისად, **ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებლები, რომლებიც იწვევენ უ ჩამდინარე წყლების დაბინძურებას, შეიტანენ ამ დამატებითი დამუშავების ხარჯების მინიმუმ 80%-ს** მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) სქემით (მუხლი 10 (ახალი წინადადების) მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის შესახებ).



# ცირკულარული ეკონომიკა

# შესაფუთი მასალების და შეფუთვის ნარჩენების დირექტივა



ცირკულარული ეკონომიკა

**შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენების ახალი რეგულაცია, რომელიც არის ადრინდელი დირექტივის შესწორებული ვერსია, განსაზღვრავს მიზნებს შეფუთვის შემცირებისა და გადაამუშავებისთვის, რაც ითვალისწინებს გადაამუშავების შესაძლებლობების გარკვეულ დონეს და გადაამუშავებელი მასალების გამოყენებას ახალ შეფუთვაში.**

ტრილოგის მიმდინარე მოლაპარაკებები 2024 წლის 5 თებერვალს დაიწყო.

თანაკანონმდებლები შეთანხმდნენ ზოგიერთ დებულებაზე, მაგრამ ყველაზე მგრძობიარე საკითხები განსახილველი რჩება.

ბელგიის თავმჯდომარეობა დარწმუნებულია, რომ შეთანხმებას მიაღწევენ ევროკავშირის არჩევნებამდე.

თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ Eurocities-ის პოზიცია შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენების დირექტივის შესახებ.

ქალაქები ძალიან მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეებია რეგულაციით დასახული მიზნების მისაღწევად, რადგან ისინი პასუხისმგებელი არიან შეფუთვის ნარჩენების შეგროვების სქემების შექმნაზე. მათ ასევე შეუძლიათ

გამოიყენონ შესყიდვები, რათა მოითხოვონ შეფუთვა რეგულაციით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

დირექტივის შინაარსი განახლდება ტრილოგის ფარგლებში შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

# ჩარჩო დირექტივა ნარჩენების შესახებ



ცირკულარული ეკონომიკა

**ნარჩენების შესახებ ჩარჩო დირექტივის გადასინჯვა მიმართულია ტექსტილისა და კვების მრეწველობაზე, რათა უზრუნველყოს ამ ორი სექტორის გარემოსდაცვითი მდგრადობა. წინადადება მიზნად ისახავს ტექსტილის ნარჩენების უფრო ცირკულარული და მდგრადი მართვის განხორციელებას, ტექსტილის მდგრადი და ცირკულარული ნარმოების ევროკავშირის სტრატეგიის ხედვის შესაბამისად.**

ევროპარლამენტში ENVI კომიტეტის პლენარული კენჭისყრა მარტშია დაგეგმილი.

ბელგიის თავმჯდომარეობა ცდილობს მიაღწიოს შეთანხმებას წევრ ქვეყნებთან თავმჯდომარეობის დასრულებამდე 2024 წლის ივნისში.

ტრილოგი შეიძლება დაიწყოს ევროკავშირის 2024 წლის არჩევნებამდე, მაგრამ განახლდება ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობით.

კომისიამ შესთავაზა მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) სავალდებულო და სტანდარტიზებული სისტემები ტექსტილისთვის ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას. ტექსტილის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მწარმოებლები გაიღებენ (წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი იქნებიან ცალკე შეაგროვონ ტექსტილი 2025 წლის 1 იანვრამდე) დანახარჯების გაანგარიშებით, ტექსტილის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების მიხედვით.

პარალელურად, კომისიამ შესთავაზა წევრ ქვეყნებს, შეამცირონ საკვების ნარჩენები გადამამუშავებასა და წარმოებაში 10%-ით და ჯამურად საცალო ვაჭრობისა და მოხმარების სფეროებში (რესტორნები, კვების სერვისები და შინამეურნეობები) 30%-ით (ერთ სულ მოსახლეზე) 2030 წლისთვის.

დირექტივის შინაარსი განახლდება ტრილოგის ფარგლებში შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

# სამშენებლო პროდუქტების რეგულაცია (CPR) (2022)



ციკლოპული  
აკომისია

**2022 წლის 30 მარტს კომისიამ მიიღო წინადადება რეგულაციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ჰარმონიზებულ კირობებს სამშენებლო პროდუქტების მარკეტინგისთვის. ეს იყო წინადადების კაპიტის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა მდგრადი პროდუქტების ქცევას ნორმად ევროკავშირში, ციკლოპული ბიზნეს მოდელის სტიმულირებას და მომხმარებელთა გაძლიერებას „მწვანე“ გადასვლისთვის.**

2023 წლის დეკემბერში საბჭომ და პარლამენტმა მიიღო წინასწარ შეთანხმება CPR-ზე. მას ჯერ კიდევ სჭირდება დამტკიცება ორივე ორგანოს მიერ.

რეგულაციების ტრანსპონირება არ არის საჭირო. ღონისძიებების განხორციელებას 12-დან 20 თვემდე დასჭირდება.

თავდაპირველად, იქნება წინა საკანონმდებლო ბაზის ახალ ბაზაზე გადასვლის პერიოდი, რომელიც გაგრძელდება ახალი რეგულაციის ძალაში შესვლიდან 15 წელი (2039 წლამდე).

Eurocities-ის ვებსაიტზე შეგიძლიათ იხილოთ იმ ქალაქების ისტორიები, რომლებიც მუშაობენ ნარჩენების **შემცირების, ხელახალი გამოყენებისა და აღდგენის მიზნით გადამუშავებაზე.**

ევროკავშირის სამშენებლო პროდუქტების ახალი რეგულაცია (CPR) გავლენას ახდენს ადგილობრივ ხელისუფლებებზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის პროდუქციის მახასიათებლებზე სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვადასხვა მწარმოებლებისა და ქვეყნების პროდუქტების შედარებას. ეს ჰარმონიზებული მიდგომა აძლევს ქალაქებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შესაძლებლობას, დააწესონ მოთხოვნები მწარმოებლებისადმი, რაც ხელს უწყობს საჯარო პროექტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უკეთ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

განახლებული რეგულაცია მოიცავს სამშენებლო პროდუქტების გლობალური დათბობის პოტენციალის (GWP) სავალდებულო დეკლარირებას მათი საექსპლუატაციო ვადისთვის. სია ოთხი წლის შემდეგ გავრცელდება სხვა ინდიკატორებზე და მოიცავს

საექსპლუატაციო ვადის ყველა ინდიკატორს ექვსი წლის შემდეგ (დროებითი ტექსტი, რადგან მოლაპარაკებები გრძელდება, იხ. მუხლი 22 “მწარმოებლების დამატებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები”).

ის ასევე ითვალისწინებს სამშენებლო პროდუქტის ციფრული პასპორტის სისტემის შექმნას, ისეთივეს, როგორც შემოთავაზებულია ეკოდიზაინის რეგულაციაში (78-ე მუხლი ევროკავშირის სამშენებლო პროდუქტის მონაცემთა ბაზის ან სისტემის შესახებ).

კომისიას მიენიჭება უფლებამოსილება, დააწესოს გარემოსდაცვითი მდგრადობის სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები სამშენებლო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დელეგირებული აქტებით, რათა წაახალისოს ეკოლოგიურად მდგრადი პროდუქტის მიწოდება და მოთხოვნა (მუხლი 84 “მწვანე” სახელმწიფო შესყიდვების შესახებ).



## მობილობა

რეგულაციის ნახვა შესაძლებელი იქნება ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

**წინასწარ შეთანხმების** ნახვა უკვე შესაძლებელია.

სატრანსპორტო საშუალებების ტიპებიდან გამომდინარე, ძალაში შესვლა მოხდება 2026-დან 2029 წლამდე პერიოდში (მუხლი 20).

## ევრო 7 რეგულაცია



მობილობა

**ევრო 7 არის ჰაერის ხარისხის უახლესი თაობის სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ავტომობილებისთვის. მოსალოდნელია, რომ ეს სტანდარტები კიდევ უფრო მათად შეწყობს ხელს ქალაქებში ტრანსპორტის მიერ გამოწვეული დაბინძურების შემცირებას.**

ქალაქებს შეეძლებათ გამოიყენონ ეს ახალი სტანდარტები, რათა უკეთ დაგეგმონ ჰაერის დაბინძურების ტრეკტორია და ჩაატარონ მოდელირება. გარდა ამისა, მათ შეეძლებათ გამოიყენონ ახალი სტანდარტები, როგორც საფუძველი დაბალემისიური ზონების ახალი კრიტერიუმის განსაზღვრისათვის.

ევრო 7-ის რეგულაცია მიმართულია საგზაო მოძრაობის

იმ დამაბინძურებლებთან საბრძოლველად, რომლებიც ჯერჯერობით ყურადღების მიღმაა, როგორცაა საბურავების ან მუხრუჭების ცვეთის ნაწილაკები. მომავალში ეს იქნება ჰაერის დაბინძურების ყველაზე მაღალი რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისგან (მუხლი 4 და დანართი I).

# რეგულაცია ავტომობილებისა და ფურგონებისთვის CO<sub>2</sub>-ის ემისიების სტანდარტების შესახებ



მობილობა

**CO<sub>2</sub>-ის რეგულაცია ადგენს CO<sub>2</sub>-ის ემისიების მოქმედ ლიმიტებს ევროპის ბაზარზე წარმოდგენილი ახალი ავტომობილებისა და ფურგონებისთვის. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შიდაწვის ძრავაზე მომუშავე ახალი მანქანების გაყიდვების ეტაპობრივი შეწყვეტის თარიღს 2035 წელს.**

რეგულაცია ძალაში შევა 2024 წელს. CO<sub>2</sub>-ის ემისიების შემცირების ახალი მიზნები, რომლებიც გამოყენებული იქნება ავტომწარმოებლებისთვის, დაინერგება 2025, 2030 და 2035 წლებში.

განახლებული რეგულაციის ნახვა შესაძლებელია ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტზე და საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის ევროკავშირში CO<sub>2</sub> ემისიების მთლიანი მოცულობის დიდი წილი (ტრანსპორტზე მოდის CO<sub>2</sub>-ის მთლიანი მოცულობის 25%), მოსალოდნელია, რომ ეს რეგულაცია მკვეთრად შეამცირებს სექტორის ემისიებს, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალობის მიზნების მიღწევას (მუხლი 1).

გარდა CO<sub>2</sub>-ის ემისიების შემცირებისა, ახალი რეგულაციებით გამყარებული ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე მანქანების ბაზრის ზრდა ასევე მკვეთრად შეამცირებს ტრანსპორტის მიერ ჰაერის დაბინძურებას ქალაქებში და გარკვეულწილად ხმაურით დაბინძურებასაც.

# რეგულაცია სატვირთო ავტომანქანებისთვის CO<sub>2</sub> ემისიების სტანდარტების შესახებ



მობილობა

**ახალი რეგულაცია ადგენს CO<sub>2</sub>-ის ემისიების ლიმიტებს სატვირთო ავტომობილებისთვის, საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტობუსებისთვის და ა.შ.**

ხელშეკრულების ოფიციალური მიღების შემდეგ, რეგულაციის ნახვა შესაძლებელი იქნება ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

**წინასწარი შეთანხმების** ნახვა უკვე შესაძლებელია.

რეგულაცია ხელს შეუწყობს ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე მძიმე სატრანსპორტო საშუალებების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ქალაქებში CO<sub>2</sub>-ის და ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას (მუხლი 3a).

ახალი რეგულაცია ასევე ითვალისწინებს ევროკავშირში შიდაწვის ძრავიანი ახალი ავტობუსების გაყიდვაზე ეტაპობრივი უარის თარიღს 2035 წელს, რითაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადგილობრივ ორგანოებს უფლებას აძლევს შეიძინონ მხოლოდ ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებები ამ თარიღის შემდეგ (მუხლი 3b).

# ალტერნატიული სანვავის ინფრასტრუქტურის რეგულაცია (AFIR)



მობილობა

**ახალი AFIR სახავს მიზნებს ევროკავშირის სანვავის ალტერნატიული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მაგალითად: ელექტრომობილების დამუხტვის კუთხეები ან წყალბადის სანვავის გასამართი სადგურები.**

რეგულაცია ძალაში შევიდა 2023 წელს. განლაგების სამიზნე მაჩვენებლები ძალაში შევა 2025, 2027, 2030 და 2035 წლებში.

განახლებული რეგულაციის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).

პროექტს **Move 21** შეუძლია ინფორმაციის მოწოდება ქალაქებში სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტის მულტიმოდალური და ურთიერთდაკავშირებული ჰაბების შესახებ.

USER-CHI პროექტმა შემოგვთავაზა **სახელმძღვანელო** მომავლის სადგურების შესახებ და შემდგომში მოგვარების პოლიტიკის რეკომენდაციებს.

მოსალოდნელია, რომ რეგულაციაში დასახული მიზნები გაზრდის ელექტრომობილებზე მოთხოვნას, რითაც შეამცირებს CO<sub>2</sub>-ის და ჰაერის დამაბინძურებლების ემისიას ქალაქებში (მუხლები, 3, 4, 6).

ასევე მოსალოდნელია, რომ მიზნები განხორციელებდა ადგილობრივ დონეზე, რაც დამოკიდებულია განლაგების ეროვნული გეგმების შინაარსზე, რისთვისაც ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება კონსულტაციები გამართოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან (მუხლი 14).



მობილობა

## TEN-T რეგულაცია

**ახალი TEN-T რეგულაცია ადგენს პრიორიტეტებს ევროკავშირის ძირითადი სატრანსპორტო დერეფნების განვითარებისათვის ტრანსპორტის ყველა სახისათვის. იგი ასევე ხაზს უსვამს ურბანული ხელისუფლების როლს, ანიჭებს რა სპეციალურ სტატუსს 430+ „ურბანული კვანძების“ სიას, რომელიც მოიცავს ქალაქს 100,000-ზე მეტი მოსახლეობით ან NUTS 2 რეგიონის ყველაზე დიდ ქალაქს (ევროსტატის კლასიფიკაცია).**

ხელშეკრულების ოფიციალური მიღების შემდეგ, რეგულაციის ნახვა შესაძლებელი იქნება ვებსაიტზე: [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu).


**წინასწარი შეთანხმების** ნახვა უკვე შესაძლებელია. დამატებითი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია პროექტის **Move 21** ვებსაიტზე.

რეგულაცია განსაზღვრავს რიგ ვალდებულებებს ურბანული კვანძებისთვის:

- შემუშავდეს მდგრადი ურბანული მობილობის გეგმები (SUMP) 2027 წლის დეკემბრისთვის;
- ხელისუფლებამ (ქალაქები + მათი ფუნქციონალური ურბანული ტერიტორიები) 2027 წლისთვის წარმოადგინოს ანგარიში მდგრადი მობილობის მაჩვენებლების შეგროვების შესახებ;

- ხელისუფლებამ თავისი ტერიტორიაზე 2030 წლისთვის მოაწიოს მულტიმოდალური სამგზავრო ჰაბი და 2040 წლისთვის - მულტიმოდალური სატვირთო ჰაბი.

ურბანული კვანძების სტატუსმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს ურბანული ხელისუფლების უფრო აქტიური ჩართულობა ევროკავშირის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ამასთან, პოტენციურად უკეთესი ხელმისაწვდომობის შეთავაზება დაფინანსების გარკვეულ ინსტრუმენტებზე, როგორცაა TEN-T რეგულაცია (მუხლი 40).



[www.energy-cities.eu](http://www.energy-cities.eu)



[www.eurocities.eu](http://www.eurocities.eu)





